

შპს „ISL CAUCASUS“

ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება..... 1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია 5

2. მომზადების საფუძველი 5

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა 6

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 10

5. შემოსავალი 10

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 11

7. ფინანსური ხარჯები 11

8. საკურსო მოგება/ზარალი 11

9. ძირითადი საშუალებები 12

10. გრძელვადიანი ინვესტიციები 13

11. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები 13

12. კაპიტალი 13

13. გრძელვადიანი სესხები 13

14. საგადასახადო ვალდებულებები 14

შპს "ISL CAUCASUS"

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2024 (არააუდიტირებული)	2023 (არააუდიტირებული)
შემოსავალი	5	3,556,120	3,106,490
საერთო მოგება/(ზარალი)		3,556,120	3,106,490
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(7,450)	(11,998)
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი		-	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		3,548,670	3,094,492
ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	7	(827,563)	(820,864)
საკუროს მოგება/(ზარალი)	8	122,523	(158,473)
მოგება/(ზარალი) დაბეგრამდე		2,843,630	2,115,155
მოგების გადასახადი		(316,347)	(253,003)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		2,527,283	1,862,152

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს:



4-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

		2024 შენიშვნა (არააუდიტირებული)	2023 (არააუდიტირებული)
შემოსავალი	5	3,556,120	3,106,490
საერთო მოგება/(ზარალი)		3,556,120	3,106,490
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	6	(7,450)	(11,998)
სხვა საოპერაციო შემოსავალი და ხარჯი		-	-
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		3,548,670	3,094,492
ფინანსური შემოსავალი და ხარჯი	7	(827,563)	(820,864)
საკურსო მოგება/(ზარალი)	8	122,523	(158,473)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,843,630	2,115,155
მოგების გადასახადი		(316,347)	(253,003)
წლის სრული შემოსავალი/(ზარალი)		2,527,283	1,862,152

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2025 წლის 25 სექტემბერს:

ლევან ჩიკვილაძე
დირექტორი

4-14 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024 (არააუდიტირებული)	31 დეკემბერი 2023 (არააუდიტირებული)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	12,580	37,262
გრძელვადიანი ინვესტიციები	10	11,755,283	11,353,253
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,767,863	11,390,515
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		4,250	4,250
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		295,524	259,494
გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები	11	2,196,473	-
ფული და ფულის ექვივალენტები		193	2,239
სულ მიმდინარე აქტივები		2,496,440	265,983
სულ აქტივები		14,264,303	11,656,498
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		233,045	233,045
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		2,261,786	1,527,134
სულ კაპიტალი		2,494,831	1,760,179
გრძელვადიანი სესხები			
	13	11,558,015	9,716,627
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		11,558,015	9,716,627
მიმდინარე ვალდებულებები			
საგადასახადო ვალდებულებები	14	95,605	42,450
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		115,852	137,242
სულ მიმდინარე ვალდებულებები		211,457	179,692
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		14,264,303	11,656,498

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

(არაუდიტირებული)	საწედბო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)	სულ
31 დეკემბერი 2022	233,045	1,098,666	1,331,711
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/ზარალი		1,862,152	1,862,152
დივიდენდის გამოცხადება		(1,433,684)	(1,433,684)
31 დეკემბერი 2023	233,045	1,527,134	1,760,179
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი/ზარალი		2,527,283	2,527,283
დივიდენდის გამოცხადება		(1,792,631)	(1,792,631)
31 დეკემბერი 2024	233,045	2,261,786	2,494,831

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „ISL CAUCASUS“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 404921411) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. იგი დაარსდა 2011 წლის 9 დეკემბერს და ფუნქციონირებს, როგორც დამოუკიდებელი იურიდიული ერთეული.

ძირითადი საქმიანობა: კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ფინანსური ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები.

კომპანიის იურიდიული და ფაქტიური მისამართია მცხეთის რაიონი, სოფელი ძეგვი, 1-ლი ქუჩა, N31

კომპანიის მეწილეები: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის ისევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის წილის მფლობელები იყვნენ:

ლევან ჩიკვილაძე (01025014404) - 25%

ზურაბ ალავეძე (01005011171) - 25%

ზურაბ ბარათაშვილი (54001010517) - 25%

გივი ჯაფარიძე (01026008591) - 25%

საქართველოს ბიზნეს გარემო. კომპანია საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკური გარემო ხასიათდება მაღალი ინფლაციით, მაღალი საპროცენტო განაკვეთებით და საგადასახადო კანონმდებლობის ხშირი ცვლილებებით, რომელიც განსხვავებულ ინტერპრეტაციებს ექვემდებარება.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარება არსებითად არის დამოკიდებული მთავრობის ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობაზე, ასევე საკანონმდებლო და პოლიტიკურ ცვლილებებზე.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სხვა რამ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 12-თვიან მონაკვეთს, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

შესაბამისობის განცხადება. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციების გათვალისწინებით.

მსს ფასს-ის მიხედვით, ანგარიშგების მომზადება მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელობის მსჯელობის გამოყენებას. სფეროები, რომლებიც მოითხოვს განსაკუთრებულ მსჯელობას ან შეფასებებს, მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. პრინციპის მიზანშეწონილობის შესაფასებლად, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების პროგნოზებს, მათ შორის პესიმისტურ და რეალისტურ სცენარებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის ძირითადი საოპერაციო ვალუტა, რაც განპირობებულია კომპანიის საქმიანობის ადგილით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით. წარმოქმნილი კურსთაშორისი სხვაობა აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები და ოპერაციები აღირიცხება შესაბამისი ოპერაციის დღის კურსით.

2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2024 წლის 31 დეკემბერი	2.8068	2.9306
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკის დეპოზიტებს და სხვა მაღალლიკვიდურ, მოკლევადიან ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მომხმარებლებისგან მისაღებ თანხებს, რომლებიც ჩვეულებრივ არასაოპერაციო საქმიანობიდან გამომდინარეობს. მოთხოვნები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე აქტივები, თუ მათი დაფარვა მოსალოდნელია თორმეტ თვეზე ნაკლებ ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი განიხილება გრძელვადიან აქტივებად. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღირიცხება გარიგების ფასით და შემდგომში ფასდება ამორტიზებული ღირებულებით (ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით), გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები.

- აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

• **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	15-30 წელი
მანქანა-დანადგარები	8-15 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	7-10 წელი
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	5-8 წელი
სხვა	5-8 წელი

არამატერიალური აქტივები.

კომპანიას არ გააჩნია არამატერიალური აქტივები.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი.

გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში მოქმედებს მოგების გადასახადის ესტონური მოდელი, რომლის მიხედვითაც საწარმოს მიერ მიღებული მოგება დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მისი განაწილების მომენტში. დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს როგორც პირდაპირი დივიდენდის, ისე კანონმდებლობით განსაზღვრული, მოგების განაწილებასთან გათანაბრებული ოპერაციები.

ფიზიკური და არარეზიდენტი პირებისთვის დივიდენდის გამოცხადებისას, კომპანიას წარმოეშობა მოგების გადასახადის ვალდებულება, რომელიც გამოითვლება გასანაწილებელი წმინდა თანხის 15/85-ის ოდენობით. აღნიშნული გადასახადი აღიარდება პირდაპირ კაპიტალში, როგორც გაუნაწილებელი მოგების შემცირება და არ აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში. მოქმედი საგადასახადო მოდელის შესაბამისად, კომპანიას არ წარმოეშობა გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები, ხოლო კანონმდებლობით დაშვებული გამოქვითვები აღირიცხება საგადასახადო ვალდებულების კორექტირებით.

მოგების გადასახადით ასევე იბეგრება კანონმდებლობით განსაზღვრული, მოგების განაწილებასთან გათანაბრებული ოპერაციები (მაგ., არაეკონომიკური ხარჯები, უსასყიდლო მიწოდება, არასაბაზრო ფასები). ამ ოპერაციებიდან წარმოშობილი გადასახადი, დივიდენდის გადასახადისგან განსხვავებით, აღიარდება ხარჯად და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში, როგორც „სხვა გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა“.

საპენსიო შენატანები. 2019 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“. აღნიშნული სქემის მიხედვით, დასაქმებულის დარიცხული ხელფასიდან ხდება 2%-იანი საპენსიო შენატანის დაკავება. ამასთან, კომპანია, როგორც დამსაქმებელი, ვალდებულია, დამატებით გადარიცხოს დასაქმებულის დარიცხული ხელფასის 2%. დამსაქმებლის ეს შენატანი წარმოადგენს პერსონალთან დაკავშირებულ ხარჯს, რომელიც აღიარდება დარიცხვის პრინციპით და აისახება ადმინისტრაციულ ხარჯებში.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა აფასებს კომპანიის განუსაზღვრელ საგადასახადო პოზიციებს. ეს შეფასება ემყარება საანგარიშგებო თარიღისთვის მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის საუკეთესო ინტერპრეტაციას, მსგავს საკითხებზე არსებულ სასამართლო პრაქტიკასა და საგადასახადო ორგანოების განმარტებებს.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ამონაგები შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს ამონაგებს, როდესაც ამონაგების ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, ამონაგები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

გრძელვადიანი ფინანსური ინვესტიციები. ინვესტიციების ობიექტი კომპანიების აქციები არ არის წარმოდგენილი აქტიურ ბაზარზე და მათი სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შეუძლებელია გადამეტებული დანახარჯებისა და ძალისხმევის გარეშე, ეს ფინანსური ინვესტიციები აღირიცხება თვითღირებულებით, გაუფასურებაზე ზარალის გამოკლებით.

დივიდენდები:

სადივიდენდო შემოსავალი. სადივიდენდო შემოსავალი, რომელიც კომპანიამ უნდა მიიღოს სხვა კომპანიაში განხორციელებული ინვესტიციებიდან, აღიარდება კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა კომპანიის კანონიერი და უპირობო უფლება მის მიღებაზე. როგორც წესი, ეს უფლება დგება იმ მომენტში, როდესაც ინვესტიციის ობიექტი კომპანიის აქციონერები/პარტნიორები ამტკიცებენ დივიდენდის განაწილებას. შემოსავლის აღიარება ხდება მიუხედავად იმისა, თუ როდის მოხდება ფულადი სახსრების ფაქტობრივი ჩარიცხვა. თუ კომპანიისთვის დივიდენდის მიღების უფლება წარმოიშვა საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ, ასეთი შემოსავალი აღიარდება მომდევნო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში და არ წარმოადგენს საანგარიშგებო თარიღის შემდგომ მაკორექტირებელ მოვლენას.

განაწილებული დივიდენდები: კომპანიის მიერ ფიზიკურ პირებზე გასანაწილებელი დივიდენდი აღირიცხება, როგორც კომპანიის ვალდებულება და იმავდროულად, შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი (კერძოდ, გაუნაწილებელი მოგება). ეს აღიარება ხდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დივიდენდის განაწილება სათანადოდ დამტკიცდება კომპანიის პარტნიორთა/აქციონერთა კრების მიერ და კომპანიას წარმოეშობა მისი გაცემის იურიდიული ვალდებულება. განაწილებული დივიდენდი არ წარმოადგენს ხარჯს და არ აისახება კომპანიის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყინულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად. ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

5. შემოსავალი

	2024	2023
დივიდენდებიდან მიღებული შემოსავალი	2,789,943	2,452,490
სხვა შემოსავალი	766,177	654,000
სულ	3,556,120	3,106,490

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024	2023
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯები	(3,973)	(9,872)
საგადასახადო ხარჯი	(440)	(440)
სხვა დანახარჯები	(3,037)	(1,686)
სულ	(7,450)	(11,998)

7. ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

	2024	2023
საპროცენტო შემოსავლები	45,828	-
საპროცენტო ხარჯი მიღებულ სესხებზე	(873,391)	(820,864)
სულ	(827,563)	(820,864)

8. საკურსო მოგება/ზარალი

	2024	2023
სასესხო ვალდებულებებიდან	130,593	(103,332)
ფულისა და ფულის ეკვივალენტებიდან	(8,070)	(55,141)
სულ	122,523	(158,473)

9. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2022	91,275	91,275
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-
გასვლა	-	-
31 დეკემბერი 2023	91,275	91,275
შემოსვლა წლის განმავლობაში	-	-
გასვლა	(51,550)	(51,550)
31 დეკემბერი 2024	39,725	39,725
დაგროვილი ცვეთა		
31 დეკემბერი 2022	(44,141)	(44,141)
წლის დარიცხული ცვეთა	(9,872)	(9,872)
გასვლები	-	-
31 დეკემბერი 2023	(54,013)	(54,013)
წლის დარიცხული ცვეთა	(3,973)	(3,973)
გასვლები	30,841	30,841
31 დეკემბერი 2024	(27,145)	(27,145)
საბალანსო ღირებულება		
31 დეკემბერი 2023	37,262	37,262
31 დეკემბერი 2024	12,580	12,580

10. გრძელვადიანი ინვესტიციები

კომპანია ფლობს გრძელვადიან ფინანსურ ინვესტიციებს სხვა კომპანიების კაპიტალში. ეს ინვესტიციები არ არის განკუთვნილი სავაჭრო მიზნებისთვის.

11. გაცემული სესხები და მისაღები პროცენტები

	2024	2023
გაცემული სესხები	2,166,227	-
მისაღები პროცენტები	30,246	-
სულ	2,196,473	-

12. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 233,045 ლარს. კომპანიის პარტნიორების (მეწილეების) შესახებ დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

კომპანიის წესდების შესაბამისად, დივიდენდების ოდენობის, გაცემისა და განაწილების წესის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პარტნიორთა საერთო კრება. 2024 წლის განმავლობაში, პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით, კომპანიამ პერიოდულად განახორციელა დივიდენდების განაწილება, რომლის ჯამურმა თანხამ შეადგინა 1,792,631 ლარი.

მეწილეები:	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ლევან ჩიკვილაძე (01025014404)	25%	25%
ზურაბ ალავეძე (01005011171)	25%	25%
ზურაბ ბარათაშვილი (54001010517)	25%	25%
გივი ჯაფარიძე (01026008591)	25%	25%

13. გრძელვადიანი სესხები

კომპანიის გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები, რომლებიც დენომინირებულია ევროში, მოზიდულია ფინანსური ინსტიტუტებისგან. საანგარიშო პერიოდის მდგომარეობით, კომპანია სრულად აკმაყოფილებს სასესხო ხელშეკრულებებით დადგენილ ყველა პირობასა და ფინანსურ კოვენანტს.

14. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კოდექსში 2016 წლის 1 იანვრიდან ძალაში შესული ცვლილებების შედეგად, დაინერგა საგადასახადო ვალდებულებების ერთიან სახაზინო ანგარიშზე გადარიცხვის სისტემა. ამ ცვლილების შესაბამისად, კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ურთიერთგაქვითვის პრინციპით, ნეტო თანხის სახით.